



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება N 31

2020 წლის 20 აპრილი

ქალაქი გორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2017 წლის 08 თებერვლის N12 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი



რუსუდან სუხიშვილი

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

გორი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში - კოლეჯი) უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი/ები, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს:
 - ა) კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;
 - ბ) სახანძრო უსაფრთხოებას;
 - გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;
 - ე) უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმების არსებობას;
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას.

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება;
2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
3. აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა;
4. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი/ები, თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები შენობაში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანება, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებული არიან:
 - ა) დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ დაცვას, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და მორიგე სამსახურებს (112). ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი;
 - ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ადამიანთა გადასარჩენად, ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;
5. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შენობაში მყოფი ადმინისტრაციის წევრები ვალდებული არიან:
 - ა) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ნედლეულის, გაზისა და წყლის კომუნიკაციები, შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში

სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;

ბ) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;

გ) გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა მუშაკი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;

დ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;

ე) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;

ვ) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;

ზ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;

თ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაში თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

6. ევაკუაციის ნიშნის შემთხვევაში ადგილზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

1. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ გააჩნია კომპეტენცია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/პერსონალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, ოპერატიულად იქნება გამოძახებული სასწრაფო დახმარება(112).

2.სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:

ა) პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯის თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.

ბ) თუ პროფესიული სტუდენტი ან კოლეჯის თანამშრომელი ვერ ახერხებს კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს, დაცვის სამსახურს ან ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება პირველი დახმარების პუნქტთან.

გ) თუ პროფესიული სტუდენტის ან კოლეჯის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს და სთხოვოს მას ავადმყოფისთვის ადგილზე დახმარების გაწევა. კოლეჯის მედდა ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

დ) აუცილებლობის შემთხვევაში კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ).

ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

ე.ა. საკუთარი ტელეფონის ნომერი;

ე.ბ. კოლეჯის მისამართი;

ე.გ. ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;

ე.დ. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;

ე.ე ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

3. კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის უსასყიდლოდ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

ბ) კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში უსასყიდლოდ კონსულტაციის გაწევა;

გ) კოლეჯში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;

დ) შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებელი ღონისძიებების გატარება დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

ე) ამ ამოცანების ეფექტურად შესრულების მიზნით, კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი კუთხე.

4. კოლეჯის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ახორციელებს მედიკამენტების ვადების კონტროლს.

მუხლი 5. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. კოლეჯის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ები (დაცვა/უსაფრთხოების სპეციალისტი)

ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში კორიდორები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი.

2. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, კოლეჯის ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწისტიყვობა და სხვა) დაცვის თანამშრომელი,

რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, სპეციალობა, ჯგუფი), დამრღვევის ახსნა-განმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობს კოლეჯის შინაგანაწესით.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია



საჭირო ნომრები:

გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112

„112“ არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც ყველას შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების მისაღებად.

„112“-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტელეფონიდან, სახლის ტელეფონიდანაც და მობილურიდანაც. **112-ზე დარეკვა უფასოა.**

112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

ვებ-გვერდი: www.112.ge

როგორ მოვიქცეთ ხანძრის დროს

ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი.

საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ სანთნადწამებელი გასასვლელით.

თუ გადაწყვეტთ, რომ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლო ცეცხლს, მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
4. კოლეჯის დაცვისა და უფლებამოსილი თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.

თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას

1. შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;

2. თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
5. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.
6. სსსმ პროფესიული სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.
7. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

შენობაში აკრძალულია:

- სიგარეტის მოწევა;
- კუსტარული ელექტროგამათბობლებით ან ელექტროგამაცხელებლებით სარგებლობა;
- ღია ცეცხლით ან ღია ცეცხლის წყაროთი სარგებლობა;
- საწვავის, ზეთის ან სხვა აალებადი ნივთიერებების შენახვა და სარგებლობა;

1. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“ დანართი №1.2.

პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები

1. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:



1.

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;

2. გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას

დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად. თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად;

3. თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.
4. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა



5. • ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
6. ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
7. თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:
8. გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა
- 9.



10. დადებით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილები შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამწერტილის ქვევით ვათავსებთ ერთხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
11. დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდი ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გამალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს
12. 4-5 სმ-ს. ზე წოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: “ერთი, ორი, სამი, ოთხი... 15-მდე” ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე.
13. თუ თქვენ მართო ხართ:



14. მოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთოთ 2 ჩაბერვა. გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე/2 ჩაბერვა, სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები, არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.

15. ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;

16. თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხვევაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15ზე წოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

17. გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება

- მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება:

- თუ გყავთ დამხმარე-დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად;

- თუ ხართ მარტო სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია 1 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა.